სსიპ გალაკტიონ ტაბიძის
სახელობის
ქალაქ თბილისის
№51
საჯარო სკოლა

L.E.P.L. TBILISI
GALAKTION TABIDZE
PUBLIC SCHOOL
№51

09/12/2024

MES 6 24 0001577564

სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს

ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის 2023 წლის 8 დეკემბრიდან 2024 წლის 9 დეკემბრის პერიოდის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

მოგახსენებთ, რომ ,,სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N 51 საჯარო სკოლაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ" 2024 წლის 6 დეკემბრის N1/კ-277 ბრძანების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმეგებლ პირად განსაზღვრულია ნინო თოფურია.

2023 წლის 8 დეკემბრიდან 2024 წლის 9 დეკემბრამდე სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავიდან გამომდინარე წარმოდგენილ იქნა 0 განცხადება (საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა), მათ შორის, ელექტრონული ფორმით შემოსული განცხადებების რაოდენობა შეადგენს 2-ს. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შესაბამისი რეაგირება განხორციელდა ყველა მოთხოვნაზე. დასაბუთებული უარი ეთქვა 0 განმცხადებელს, ნაწილობრივ უარი 0 განმცხადებელს. კოლეგიური საჯარო დაწესეულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.

სკოლა მისთვის დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში პერსონალური მონაცემები დაცულია, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ

0179 მელიქიშვილის ქ. №2 ☎ 2923-525, 2923-522, 2920-528
ელ.ფოსტა: tbilisi51@mes.gov.ge
www.51school.ge
0179 add: 2 Melikishvili st. ☎ 2923-525, 2923-522, 2920-528
mail: tbilisi51@mes.gov.ge
www.51school.ge

სისტემაში (eflow) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც განმცხადებელი უთითებს მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავების და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას. სკოლის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და სხვისთვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად. ზემოაღნიშნულ პერიოდში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა. 2023 წლის 8 დეკემბრიდან დღემდე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში არ წარდგენილა სარჩელი საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების შესახებ. ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სკოლას არ გაუწევია.

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის 2024 წლის წლიურ ანგარიშს აგრეთვე წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	2 (ნული)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებული	2 (ნული)
გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	0 (ნული)
ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0 (ნული)
ინფორმაცია დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0 (ნული)

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი/ ძველი თბილისის რაიონის
საგანმანათლებლო რესურსცენტრი/საჯარო
სკოლები/
გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის
№51 საჯარო სკოლა
დირექტორი წიფურია ეკატერინე

ე. წიფურია

ელექტრონული
ბეჭდვა
ელექტრონულად